



აირის მეტროპოლი

შავი პრინცი

დიდგენის
ბიბლიოთეკა

აირის მერდოკი
შავი პრინცი

Iris Murdoch
THE BLACK PRINCE

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



ნიგნი გამოიცა ქართული ნიგნის ეროვნულ ცენტრთან
თანამშრომლობით და მწერალთა სახლის მხარდაჭერით.

© 1973 by Iris Murdoch
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2019
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-575-2

www.diogene.ge

სარჩევი

გამომცემლის წინათქმა.....	9
ბრედლი პირსონის წინათქმა.....	11
ნაწილი პირველი.....	29
ნაწილი მეორე.....	263
ნაწილი მესამე.....	385
ბრედლი პირსონის ბოლოთქმა.....	477
ოთხი მოქმედი პირის ბოლოთქმა.....	495
გამომცემლის ბოლოთქმა.....	523

ვუძღვნი ერნესტო დე მარჩის

გამომცემლის წინათქმა

წინამდებარე წიგნი, გარკვეული თვალსაზრისით, ჩემი წყალობით გამოქვეყნდა. წიგნის ავტორმა, ჩემმა მეგობარმა ბრედლი პირსონმა მთხოვა, მეზრუნა თავისი თხზულების გამოცემაზე. ასე რომ, მან ჩემი დახმარებით იხილა მზის სინათლე. მე გახლავართ ასევე „კეთილი მეგობარი“ და ა. შ., რომელსაც ის მიმართავს ხოლმე წიგნის ფურცლებზე, მაგრამ იმ დრამის მოქმედ პირებს არ მივეკუთვნები, რომლებზეც პირსონი მოგვითხრობს. ჩემი მეგობრობა ბრედლი პირსონთან აქ აღწერილი ამბების დასრულების შემდეგ დაიწყო. განსაცდელის ჟამს ორივეს დაგვეჭირდა და, საბედნიეროდ, ერთმანეთში ვპოვეთ კიდევ მეგობრობის კურთხეული უნარი. შემიძლია, დარწმუნებით თქვა: ბრედლის მიმართ თანაგრძნობა რომ არ გამომეჩინა და ის მუდმივად არ წამეხალისებინა, ეს წიგნი, ალბათ, არ დაინერებოდა, რადგან, ჩვეულებრივ, ის, ვინც სიმართლეს აუწყებს გულგრილ სამყაროს, ბოლოს და ბოლოს იღლება, დუმდება ან ეჭვდება ხოლმე თავის გონებრივ შესაძლებლობებში. ჩემი შემწეობის გარეშე ეს, შეიძლება, ბრედლი პირსონსაც დამართოდა – სჭირდებოდა მეგობარი, რომელიც მის სიმართლეს ირწმუნებდა და რომელსაც მისი რწმენა ექნებოდა. თავისი ალტერ ეგო – ჩემი სახით – საჭირო დროს იპოვა.

ეს თხზულება თავისი არსით (და ფორმალურადაც) სიყვარულის ისტორიაა. ადამიანის შემოქმედებითი მცდელობები, მის მიერ სიბრძნისა და ქვეყნარტების ძებნა – სიყვარულის ისტორიაა. ტექსტი, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით, ორაზროვანია და ზოგჯერ

ქარაგმულიც. ადამიანის ბრძოლა და ძიებებიც ორაზროვანია და იდუმალი. ჩემს ნათქვამს მხოლოდ ის ჩასწვდება, ვისი ცხოვრებაც ამგვარივე ბინდბუნდითაა მოცული. და მაინც: რა შეიძლება იყოს უფრო მარტივი და მომნუსხველი, ვიდრე სიყვარულის ისტორია? ხელოვნება მომხიბვლელობას ანიჭებს თავზარდამცემ ამბებს და ამაშია მისი დიდებულება... შეიძლება – უბედურებაც. ხელოვნება ბედისწერაა. მან საბედისწერო როლი შეასრულა ბრედლი პირსონის ცხოვრებაში და – სრულიად განსხვავებული გაგებით – ჩემსაშიც.

ჩემი, როგორც გამომცემლის, ამოცანა მარტივი იყო. ალბათ, სხვა როლიც უნდა მეკისრა, მაგრამ ვისი? იმპრესარიოსი? კლოუნისა თუ არლეკინისა, რომელიც ავანსცენაზე გამოვა და მერე საზეიმოდ გახსნის ფარდას? ჩემთვის უკანასკნელი სიტყვა, საბოლოო შეფასება, დასკვნა შემოვიანახე. ჯობს, ბრედლის მასხარა ვიყო, ვიდრე მისი მსაჯული. შეიძლება, გარკვეული გაგებით, ორივე მათგანი ვარ. რატომ დაიწერა ქვემოთ მოთხრობილი ამბავი, მთელი მისი მრავალმნიშვნელოვნებით, თვით ამ ამბიდან გამოაშკარავდება. თუმცა აქ არავითარი საიდუმლო არაა. ყოველი ხელოვანი უიღბლო შეყვარებულია, ხოლო უიღბლო შეყვარებულებს ყოველთვის სურთ თავიანთი ისტორიების მოყოლა.

*ფ. ა. ლოქსიასი
გამომცემელი*

ბრედლი პირსონის წინათქმა

მართალია, აქ აღწერილი ამბებიდან უკვე რამდენიმე წელი გავიდა, მაგრამ მათი გადმოცემისას თხრობის თანამედროვე ხერხით ვისარგებლებ, როცა მთხრობლის ცნობიერება სხვის დარად თანმიმდევრობით აშუქებს ანმყოს მოვლენებს, ისე, რომ ითვალისწინებს წარსულს და არაფერი უწყის მომავალზე. ამგვარად, ჩემს წარსულ „მეში“ გადავინაცვლებ და თვალსაჩინოებისთვის ფაქტებს ისე გადმოვცემთ, როგორც მათ იმხანად გავიაზრებდი – იმ დროს, რომელიც დიდწილად განსხვავდება ანმყოსგან. მაგალითად, ვიტყვი, ორმოცდათვრამეტი წლისა ვარ-მეთქი (რამდენისაც იმხანად ვიყავი) და ადამიანებს არაზუსტად, შეიძლება, უსამართლოდაც კი განვსჯი, ისე, როგორც მაშინ განვსჯიდი და არა, ისე, როგორც ისინი მოგვიანებით შეძენილი სიბრძნის საფუძველზე წარმომიდგება. მაგრამ სიბრძნე, რადგან მე (ვიმედოვნებ, სამართლიანად) მას ნამდვილად სიბრძნედ მივიჩნევ, ჩემს მონათხრობში ნამდვილად იჩენს თავს. მან აუცილებლად უნდა მოჰფინოს ნათელი ქვემოთ გადმოცემულ ამბებს. ხელოვნების ქმნილება მისი შემოქმედის სადარია და მასზე აღმატებული ვერ იქნება, და ვერც (როგორც მოცემულ შემთხვევაში) – მასზე უკნინესი. ღირსებებს თავიანთი იდუმალი სახელები აქვთ: ისინი გონებისთვის ძნელად მისაწვდომია, იდუმალია. ყველაფერი, რაც ღირებულია, იდუმალია. არ შევეცდები იმის აღწერას ან დასახელებას, რაც ბოლო დროს ვისწავლე ჩემი ცხოვრების მკაცრი სისადავის წყალობით. იმედი მაქვს, ახლა უფრო ბრძენი და

მიმტვებელი ვარ, ვიდრე მაშინ ვიყავი – უფრო ბედნიერი ნამდვილად ვარ – და რომ სიბრძნის სხივი არა მარტო მიამიტი ადამიანის შეცდომებს ნათელყოფს, არამედ ჭეშმარიტებასაც გამოავლენს. უკვე მიგანიშნეთ, რომ ეს „რეპორტაჟი“ ხელოვნების ქმნილებად მიმაჩნია. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ, რომ ის ფანტაზიის ნაყოფია. ხელოვნება მთლიანად აბსურდზეა დამყარებული, მაგრამ სიმარტივისკენ მიისწრაფვის. ნამდვილი ხელოვნება ჭეშმარიტებას ღალადებს და, რა თქმა უნდა, თვითონაც ჭეშმარიტებაა, შეიძლება, ერთადერთი ჭეშმარიტებაც. ქვემოთ მოყვანილ ტექსტში ვცდილობდი, ამბავი არა მარტო ბრძნული დახვეწილობით, არამედ დახვეწილი სიბრძნითაც გადმომეცა და გამეცხადებინა სიმართლე (ჩემი გაგებით) არა მარტო ამ დრამის ზედაპირული, „შთაბეჭდავი“ ასპექტების, არამედ სიღრმისეული საზრისის თაობაზეც.

ვიცი, რომ ადამიანებს ხშირად მცდარი შეხედულება აქვთ საკუთარ თავზე. მათი ჭეშმარიტი ბუნება მათივე ქმედებებით ვლინდება. ეს, პირველ რიგში, ეხება ხელოვანებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ჩქმალავენ, სინამდვილეში კი თავიანთ შემოქმედებაში ამიშვლებენ საკუთარ თავს. ჰოდა, აქ მეც მთლიანად გაშიშვლებული ვარ, თუმცა, სამწუხაროდ, უბადრუკი ინსტინქტი (ჩემი პროფესიის კანონების სანინაღმდეგოდ) მიბიძგებს, ჩვეულებისამებრ, მივიმალო. ამ წინასწარი შენიშვნის შემდეგ შევეცდები, საკუთარი თავი ზოგადად დავახასიათო. როგორც უკვე გითხარით, იმ პიროვნების სახელით მოგიტხრობთ, რომელიც რამდენიმე წლის წინ ვიყავი და აღწერილი მოვლენების მთავარ და ზოგჯერ საძრახის „გმირად“ წარმოგიდგებით. ორმოცდათვრამეტი წლისა ვარ. მწერალი. „მწერალი“ – ჩემი ყველაზე მარტივი და, ალბათ, ყველაზე ზუსტი ზოგადი დახასიათებაა. ამასთან, ფსიქოლოგიც ვარ, თვითნასწავლი ფილოსოფოსიც, ადამიანთა ურთიერთობების მკვლევარიც, რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ ყოველივე ეს ჩემი პროფესიული საქმიანობის ნაწილია. ყოველთვის მაძიებელი ვიყავი. ამჯერად ჩემმა ძიებებმა იმ ჭეშმარიტების თქმის მცდელობამდე მიმიყვანა, რომელზეც ახლახან ვლაპარაკობდი. ვიმედოვნებ და მჯერა, რომ ჩემი ნიჭი არ შემიბ-

ღალავს. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმატებული მწერალი არასოდეს ვყოფილვარ. არასოდეს ვცდილვარ, სიამოვნება მიმენიჭებინა ჩემი მკითხველებისთვის ქეშმარიტების დაკნინების ხარჯზე. დიდი ხნის განმავლობაში ვიტანჯებოდი, რადგან თვითგამოხატვა არ შემეძლო. ყველაზე მნიშვნელოვანი და წმინდათანმინდა იმპერატივი, რომელსაც ხელოვანი უნდა დაემორჩილოს, არის: „დაიცადე!“. ხელოვნებას თავისი მარტივები ჰყავს, მათ შორის, ისინი, ვინც დუმილს ამჯობინებს. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ არიან წმინდანები ხელოვნებაში, რომლებიც, უბრალოდ, დუმდნენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ქალაქის ერთი ფურცლის სინმინდეც კი არ შეუბღალავთ იმგვარი ტექსტებით, რომლებშიც თავს არ იჩენს უზენაესი ჰარმონია და მშვენიერება, ანუ ქეშმარიტება.

ცნობილია, რომ არც ისე ნაყოფიერი მწერალი ვარ. ვამბობ, ცნობილია-მეთქი და ვგულისხმობ, რომ სახელი იმ თავგადასავლებმა მომიხვეჭა, რომლებიც ხელოვნების სფეროს გარეთ გადამხდა. საზოგადოება კარგად მიცნობს, მაგრამ, სამწუხაროდ, იმის გამო არა, რომ მწერალი ვარ. როგორც მწერალს, მაფასებენ და, უეჭველია, დამაფასებენ მხოლოდ მცირერიცხოვანი რჩეული მკითხველები. შეიძლება, მთელი ჩემი ცხოვრების პარადოქსი და აბსურდი, რომელზეც გამუდმებით ვფიქრობ, ის არის, რომ ჩემი სხვა წარმოებებისგან ასე განსხვავებული დრამატული ისტორია (რომელიც ქვემოთაა მოყვანილი), შეიძლება, ჩემი ერთადერთი „ბესტსელერი“ აღმოჩნდეს. მასში უეჭველად შეიმჩნევა სისხლიანი დრამის, „უჩვეულო ამბების“ ელემენტები, რომლებიც უბრალო ადამიანებს ასე უყვართ. რა თქმა უნდა, ამის გამო გაზეთების ყურადღებაც დავიმსახურე.

ჩემი ნაწარმოებების აღწერას არ შევეცდები. იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც ზემოთ ვახსენე, მათზე ბევრს მსჯელობენ, თუმცა ვშიშობ, ისინი არავის ნაუკითხავს. ერთი უმნიშვარი რომანი ოცდახუთი წლის ასაკში გამოვაქვეყნე, მეორე რომანი, უფრო ზუსტად, კვაზირომანი კი – ორმოცი წლის ასაკში. გამოვეცი აგრეთვე მომცრო ნიგნი, სახელწოდებით „ფრაგმენტები“ ან „ეტიუ-

დები“. ისე ვერ გავკადნიერდები, რომ მას ფილოსოფიური ნაშრომი ვუწოდო (შეიძლება, სახელწოდება Pensées¹ უფრო უპრიანი იყოს). ვერ მოვასწარი, ფილოსოფოსი გავმხდარიყავი და ამას მხოლოდ ნაწილობრივ ვნანობ. მხოლოდ მაგია და სიუჟეტები უძლებს საუკუნეებს. იმას კი, რაოდენ უბადრუკი და შეზღუდულია ჩვენი გონება, ალბათ, ხელოვნება უკეთ გვასწავლის, ვიდრე ფილოსოფია. შემოქმედებას უკავშირდება სასონარკვეთილების განცდა, რომელიც, ჩემი აზრით, ყოველი ხელოვანისთვის ნაცნობია. ხელოვნებაში, ისევე, როგორც მორალში, ჩვენი თვალთახედვის მიღმა რჩება ის, რაც მთავარია, რადგან გადამწყვეტი მომენტის მოხელთების უნარი არ შეგვწევს. როდის დგება გადამწყვეტი მომენტი? სიღიადე სწორედ ის არის, რომ ადამიანმა შეძლოს ამ მომენტის ამოცნობა, მოხელთება და გახანგრძლივება, მაგრამ ჩვენი უმრავლესობისთვის ინტერვალი „მომავალზე ოცნებასა“ და „უკვე გვიანაა, ყველაფერი დამთავრდას“ შორის ძალზე მცირე და მიუწვდომელია. ყოველთვის რჩება რალაც მოუხელთებელი და ამიტომ ბუნდოვნად წარმოვიდგენთ ხოლმე, რომ კიდევ გვექნება მცდელობის შესაძლებლობა. ასე ნადგურდება ხელოვნების ქმნილებები და ფუჭად მიმდინარეობს ადამიანთა ცხოვრება, რადგან ან ზედმეტად ვახანებთ, ან ძალზე ვჩქარობთ ხოლმე. ხშირად მიპოვია თემები მოთხრობებისთვის, მაგრამ მათი დეტალურად გააზრების შემდეგ წერის სურვილი დამკარგვია, თითქოს ისინი უკვე დაწერილი მქონდა. ეს იმის გამო კი არ ხდებოდა, რომ ჩაფიქრებული ნაწარმოებები უვარგისი იყო, არამედ იმიტომ, რომ ისინი უკვე წარსულის კუთვნილებად იქცეოდა ხოლმე და ჩემში ინტერესს აღარ იწვევდა. ჩემივე აზრები მალე მბეზრდებოდა. ზოგიერთი თხზულება თვითონვე წავახდინე იმის გამო, რომ ნაადრევად დავიწყე მათი წერა. სხვებზე, პირიქით, იმდენ ხანს ვფიქრობდი, რომ წერის სურვილს ვკარგავდი. ჩანაფიქრები – ეს ბუნდოვანი ფრაგმენტული ზმანებები – წამიერად იქცეოდა ხოლმე სრულიად გამოუსადეგარ ძველ ამბად. ჩემს მეხსიერებას მთელი

¹ აზრები, ფიქრები (ფრანგ.).

რომანები ოდენ სათაურების სახით შემორჩა. მავანი იფიქრებს, რომ სამი მომცრო ტომი, რომლებიც განადგურებას გადაურჩა, საკმარისი არაა იმისთვის, რომ მათ ავტორს „მწერლის“ წმინდა ნოდებაზე ჰქონდეს პრეტენზია. მაგრამ, ფაქტობრივად (აქ დავამატებდი, რაც ბუნებრივია-მეთქი), არასოდეს დავეჭვებულვარ საკუთარ თავში, ჩემს ჭეშმარიტ მონოდებაში, ბედისწერაშიც კი. ვიცდიდი. ყოველთვის მოთმინებით არა, მაგრამ (ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლებში) სულ უფრო ურყევი რწმენით ვიცდიდი. მომავლის საბურველის მიღმა ყოველთვის განეჭვრეტდი დიდ მიღწევებს. დაე დამცინონ, მაგრამ – მხოლოდ იმათ, ვინც ასევე დიდხანს იცდიდა. თუ ჩემი ბედისწერა, ჩემი იმედები სწორედ ამ მოკრძალებული ოპუსით დაგვირგვინდება, ვიგრძნობ იმედგაცრუებას? რა თქმა უნდა, არა, რადგან ამ ბნელი ძალის წინაშე ადამიანი უუფლებოა. არავის აქვს უფლება, გამოსცადოს ღვთის ძლევა მოსილება. მხოლოდ ლოდინი ძალგვიძს, მერე კიდევ ერთი ძალისხმევა და ისევ ლოდინი. წინამდებარე თხზულება დამანერინა ელემენტარულმა მოთხოვნისებამ, მომეყოლა სიმართლე იმაზე, რაც მთლიანად გააყალბეს და დაამახინჯეს; საცნაური გამეხადა სასწაული, რომელიც აქამდე საიდუმლოდ რჩებოდა. ვინაიდან ხელოვანი ვარ, ჩემმა მონათხრობმა მხატვრული ნაწარმოების ფორმა მიიღო. ვიმედოვნებ, მასში აღწერილი ამბები ამის გამო უფრო ღირებული გახდა.

ცოტას კიდევ გიამბობთ საკუთარ თავზე. ჩემი მშობლები მაღალხიის მეპატრონეები იყვნენ. ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ არც ისე მნიშვნელოვანი, როგორც ფრენსის მარლოს ჰგონია და, რა თქმა უნდა, არა იმ გაგებით, რომელსაც ის გულისხმობს. ჩემს „პერსონაჟთა“ შორის პირველად ფრენსისი დავასახელე, თუმცა ის მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არ არის; მას საერთოდ არ აქვს არავითარი მნიშვნელობა და არც მეტ-ნაკლებად ღრმა კავშირი ქვემოთ აღწერილ მოვლენებთან. ფრენსისი მეორეხარისხოვანი, დამხმარე ფიგურაა თხრობაში და, ჩემი აზრით, ზოგადად, ცხოვრებაშიც. სანაყალ ფრენსისს არ შესწევს უნარი, რომ რამე ამბის გმირი იყოს. მისგან შესანიშნავი ტიკი-ტომარა გამოვიდოდა. მაგ-

რამ თხრობის დასაწყისში სწორედ ფრენსის ვახსენე, ნაწილობრივ იმის გამო, რომ მთელი ეს ამბავი სწორედ მისი ვიზიტით დაიწყო. ერთ მშვენიერ დღეს ის რომ არ... და ასე შემდეგ... მე არასოდეს... და ასე შემდეგ... აი კიდევ ერთი პარადოქსი. გამუდმებით უნდა იფიქრო შემთხვევის აბსურდულობაზე, რაც კიდევ უფრო ჭკუის სასწავლებელია, ვიდრე სიკვდილზე ფიქრი. ნაწილობრივ კი ფრენსის საგანგებო ადგილს იმის გამო ვუთმობ, რომ ამ დრამის ძირითად მოქმედ პირთა შორის ის, ალბათ, ერთადერთია, ვისაც ჩემი სჯერა. მადლობელი ვარ თქვენი, ფრენსის მარლო, თუკი ჯერ კიდევ ირიცხებით ცოცხალთა შორის და ამ სტრიქონების წაკითხვის შესაძლებლობა გაქვთ. მოგვიანებით კიდევ ერთი პიროვნება გამოჩნდა, რომელმაც ჩემი ირწმუნა, რაც ვფიქრობ, გაცილებით უფრო ფასეული იყო. მაგრამ იმხანად მხოლოდ თქვენ ამჩნევდით და ხვდებოდით ყველაფერს. ამ ტრაგედიიდან გასული უამრავი დროის შემდეგ მოგესალმებით, ფრენსის მარლო.

ჩემს მშობლებს საკანცელარიო საქონლის მალაზია ჰქონდათ კროიდონში. ვაჭრობდნენ გაზეთებითა და ჟურნალებით, ყოველგვარი ხარისხის ქალაქით, ასევე, ეგრეთ წოდებული „საჩუქრებით“. მე და ჩემი და, პრისცილა, რა თქმა უნდა, მალაზიაში არ ვცხოვრობდით, თუმცა იქ ხშირად ვსვამდით ჩაის და „მასსოვს“, რომ დახლქვეშ მეძინა ხოლმე. მაგრამ მალაზია ჩვენი ერთგვარი თავშესაფარი და მითური სამყარო იყო. უფრო ილბიანი ბავშვები ბაღში, ბუნებაში თამაშობენ ხოლმე, ჩვენ კი მალაზიაში ვთამაშობდით, სადაც უჯრები, თაროები, სპეციფიკური სუნი, უამრავი ცარიელი ყუთი და ნაგავი იყო. უბადრუკი, ღარიბული მალაზია გახლდათ. ჩვენი მშობლები უბადრუკი, ღარიბი ადამიანები იყვნენ. ოცდაათიც არ შემსრულებოდა, რომ ორივენი დაიხოცნენ, ჯერ მამა, მერე – დედაც. დედა ჩემი პირველი წიგნის გამოქვეყნებას მოესწრო და ამაცობდა შვილით. ის მალიზიანებდა და სირცხვილის გრძნობას აღმიძრავდა, მაგრამ მიყვარდა (იყურეთ, ფრენსის მარლო). მამაჩემი, უბრალოდ, მძულდა. ან, შეიძლება, აღარ მასსოვს, მიყვარდა თუ არა. სიყვარულს ივინყებენ და ნახავთ, რომ ამაში მალე დავრწმუნდები.

მალაზიაზე აღარაფერს ვიტყვი. ის ახლაც მესიზმრება, კვირაში ერთხელ მაინც. ფრენსის მარლომ (როცა ეს ერთხელ გავუმხილე) ჩემი სიზმრები მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნია. მაგრამ ფრენსისი იმ ამაზრზენი ნახევრად განათლებული თეორეტიკოსების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ამჯობინებენ, ყველაფერი „სიმბოლურად“ (სრულიად უაზროდ) განმარტონ, ვიდრე უნიკალური პირადი ცხოვრების მოვლენებს გაუსწორონ თვალი. ფრენსისმა მოინდომა „განვემარტე“. სანამ საზოგადოებაში სახელი მეონდა განთქმული, იმავე მიზანს მრავალი სხვაც (და გაცილებით უფრო ჭკვიანი) ესწრაფოდა. მაგრამ ნებისმიერი ადამიანი უსასრულოდ უფრო რთულია, ვიდრე ეს განმარტებები. როცა ვამბობ, უსასრულოდ-მეთქი (თუ „თითქმის უსასრულოდ“? სამწუხაროდ, ფილოსოფოსი არ ვარ), ვგულისხმობ არა მარტო დეტალების გაცილებით მეტ რაოდენობას, არამედ ამ დეტალებისა და მათი ურთიერთმიმართებების მეტ მრავალფეროვნებას, ვიდრე იმათ წარმოუდგენიათ, ვინც ყველაფრის გამარტივებას ცდილობს. განა მიქელანჯელო შეიძლება „განიმარტოს“ სახაზავის მეშვეობით? მხოლოდ ხელოვნება ხსნის ყოველივეს, თვითონ კი აუხსნელია. ჩვენ და ხელოვნება ერთმანეთისთვის ვართ შექმნილნი და სადაც ეს კავშირი წყდება, იქ ადამიანის სიცოცხლეს მთავრდება. მხოლოდ ეს ანალოგიაა ჭეშმარიტი, მხოლოდ ეს სარკე ასახავს მოვლენათა ზუსტ ანარეკლს. რა თქმა უნდა, ჩვენ არაცნობიერიც გვაქვს და ნაწილობრივ სწორედ მასზე მოგითხრობთ ჩემი წიგნი. მაგრამ ამ ჩაძირული კონტინენტის ზოგადი რუკა არ მოგვეპოვება. და, რა თქმა უნდა, არც მისი „მეცნიერული“ რუკა გვაქვს.

ვიდრე აქ აღწერილი დრამა კულმინაციას მიაღწევდა, ჩემი ცხოვრება ერთფეროვნად მიმდინარეობდა. ზოგიერთის აზრით, ის უღიმღამოც კი იყო. თუ შესაძლებელია ამ ლამაზი და ზუსტი სიტყვის გამოყენება ესოდენ განყენებული მნიშვნელობით, ჩემი ცხოვრება დიდებულად უღიმღამო იყო – მშვენიერი უღიმღამო ცხოვრება. ჯერ ცოლიანი ვიყავი, მერე აღარ ვიყავი, რაზეც ქვემოთ მოგითხრობთ. შვილები არ მყავს. დროდადრო კუჭის ტკივილი

და უძილობა მანუხებს. თითქმის მთელი სიცოცხლე მარტოობაში გავატარე. ცოლის შერთვამდეც და მასთან განქორწინების მერეც ურთიერთობა მქონდა სხვა ქალებთან, რომლებზეც არაფერს ვიტყვი, რადგან ჩემს უმნიშვნელო ეპიზოდურ თავგადასავლებს აქ აღწერილ ამბებთან არავითარი კავშირი არ აქვს. ზოგჯერ თავს ხანდაზმულ დონე უყვანად მივიჩნევდი, მაგრამ ჩემი თავგადასავლების უმეტესობა ფანტაზიის ნაყოფია. წლების შემდეგ, როცა უკვე ძალზე გვიანი იყო, ვნანობდი, რომ დღიურს არ ვწერდი. ადამიანს დავიწყების უდიდესი უნარი აქვს, დღიურს კი უდავოდ დიდი ღირებულება ექნებოდა. ხშირად მიფიქრია, რომ მეტაფიზიკური მსჯელობებით გაჯერებული ერთგვარი „მაცდუნებლის დღიური“ ჩემთვის, ალბათ, იდეალური ლიტერატურული ფორმა იქნებოდა. მაგრამ წლები გავიდა და დავიწყებას მიეცა ის, რის ჩანერაც შეიძლებოდა. მხოლოდ ეს მინდოდა მეთქვა ქალებზე. საერთოდ კი, მართალია, მარტო ვცხოვრობდი, მაგრამ მხნედ ვგრძნობდი თავს და არც ნაცნობ-მეგობრების ნაკლებობას განვიცდიდი. ზოგჯერ უგუნებოდ ვიყავი, ხშირად სევდა შემიპყრობდა ხოლმე (სევდა და სიმხნევე ერთმანეთს არ გამორიცხავს). მხოლოდ რამდენიმე ახლო მეგობარი მყავდა (მე მგონი, ქალთან მეგობრობას ვერ შევძლებდი). ეს ნიგნი, ფაქტობრივად, ამგვარი „ახლო მეგობრობის“ ისტორიაა. ზოგიერთ თანამშრომელს დავუახლოვდი, თუმცა ძალიანაც არა (ამას, ალბათ, „ნაცნობობა“ უნდა ეწოდოს). სამსახურში გატარებულ წლებზე არ ვილაპარაკებ; არც იმ ნაცნობებზე გიამბობთ, არა იმიტომ, რომ უმადური ვარ, არამედ, ნაწილობრივ, ესთეტიკური მიზეზებით, რადგან ისინი ჩემი თხზულების მოქმედი პირები არ არიან და, გარდა ამისა, შეიძლება, არც უნდათ, რომ საზოგადოებამ მათი სახელები ჩემს სახელს დაუკავშიროს. ამ თანამშრომელთა შორის გამოვყოფ მხოლოდ ჰარტბორნს, რადგან ის ჩემი დიდებული უდიდლამო სამყაროს ერთ-ერთი ტიპური ბინადარი გახლდათ და, ამდენად, შეუძლია, სათანადოდ წარმოადგინოს დანარჩენები; ჰარტბორნს იმიტომაც ვასახელებ, რომ ბოლოს ის წინდაუხედავად, მაგრამ გულწრფელი და მეგობრული განზრახვით ჩაერია ჩემს